ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
(საკონსულტაციო მომსახურება- ფირმების შერჩევა)

საქართველო

მსოფლიო ბანკი -რეგიონალური განვითარების პროექტი – (P126033)

ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის და დეტალური დიზაინის მომზადება წყალმომარაგების, კანალიზაციის და წყალგამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში

No. IBRD/RDP/CS/CQS/06-2015

საქართველომ მიიღო დაფინანსება მსოფლიო ბანკისაგან რეგიონული განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და დაგეგმილია ამ თანხის ნაწილი გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

საკონულტაციო მომსახურება („მომსახურება“) მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოს წყალმომარაგების, კანალიზაციის სისტემების და წყალგამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციისათვის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის და დეტალური დიზაინის მომზადებას.

დავალების ძირითადი მიზანია:

1. **ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის მოზადება, მათ შორის:**
- ქვეპროექტის ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება, მათ შორის ალტერნატივების განხილვა;
- პროექტი უნდა მოიცავდეს აუცილებელ მონაცემებს ეკონომიკური ანალიზისათვის, როგორიცაა კაპიტალური ხარჯები (CAPEX) და საოპერაციო და მოვლაშენახვის ხარჯები (OPEX) ამჟამინდელი წმინდა ღირებულების გამოთვლები;
- შეთავაზებული პროექტი უნდა მოიცავდეს მინიმუმ ორ ტექნიკურ ვარიანტს. რასაც თან უნდა ერთვოდეს თითოეული ვარიანტის შესაბამისი მონაცემები. უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ენერგიის მოხმარების, ადვილად საოპერაციო და მოვლაშენახვის ვარიანტს. კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის დიზაინის ვარიანტების შეფასებისათვის გათვალისწინებული იქნება სოფელ ომალოს გეოგრაფიული, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ასპექტები და ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები, რათა თავიდან იქნას აცილებული ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების შეწუხება. ასევე უნდა მოიცავდეს ფასების დაანგარიშების მეთოდოლოგიას და მონაცემთა წყაროს;
- ქვე პროექტის განხორციელების გეგმის რეკომენდაციები და განხორციელების სავარაუდო სქემა;
- ქვე პროექტის პრობლემები და რისკები;
- ქვე პროექტის პარამეტრები;
2. **გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადება მოიცავს:**
- ქვე პროექტის გარემო და სოციალური ზემოქმედებების შეფასებას მშენებლობისა და ოპერირების ფაზებში;
- უარყოფითი გარემო და სოციალური ზემოქმედებების შესამსუბუქებლად შესაბამისი ზომების დადგენა;
3. **დეტალური დიზაინის მომზადება მოიცავს:** (დიზაინი სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებისათვის დეტალურად გარკვევით უნდა იქნას შემუშავებული დამკვეთის პროექტის შესაბამისად) მაგრამ არანაკლებ შემდეგისა:
   - არსებული ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია;

- წყლის მოხმარების გამოთვლა მოსახლეობის დაგეგმილი რაოდენობის საფუძველზე და ტუსირტული დატვირთვის როგორც დაბალ ასევე მაღალ სეზონზე;
- ტოპოგრაფიული კვლევა UTM (საერთაშორისო) კოორდინაციის სისტემა; მიწის საკადასტრო ინფორმაცია;
- გეოლოგიური პირობები;
- ჰიდროლოგიური პირობები;
- ჰიდრავლიკური გამოთვლები;
- ზოგადი განლაგება და გეგმები;
- წყალმომარაგების სათავე ნაგებობების და მილსადენის მაგისტრალის დეტალური დიზაინი (სტრუქტურული და ტექნოლოგიური ნაწილი, სადაწნეო მილსადენი);
- კანალიზაციის კოლექტორების დეტალური დიზაინი მათ შორის კანალიზაციის ჭები, თვითდინების და სადაწნეო (არსებობის შემთხვევაში) მილსადენები;
- ხელოვნური ნაგებობები (ჩამდინარე წყლების არხები, ფერდობის გამაგრება, სამუშაო მისასვლელი გზა) წყლის და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურის დასაცავად;
- ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის დეტალური დიზაინი. სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ელექტრო ნაწილები; დამუშავების პროცესის პარამეტრები საქართველოს რეგულაციების და ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგიის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული. ნალექის მართვის და განთავსების რეკომენდაციები;
- მილსადენების გრძივი პროფილები და ტიპიური განივი კვეთები;
- სტრუქტურული და ტექნოლოგიური ნახაზები (მონაკვეთები, არმატურის დეტალები და ფოლადის სამუშაო, ტექნოლოგიური და ელეტრო მოწყობილობის სპეციფიკაციები და განლაგება);
- სამუშაოების ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით;
- შესასრულებელი სამუშაოების სმეტა მათ შორის ყველა ერთეული;
- ხარჯთაღრიცხვა;
- CAPEX შესასრულებელი სამუშაოებისათვის (ერთეული ფასის ჩაშლით რესურსების და შეჯამებული ერთეული ფასით);
- OPEX წლიური საექსპლუატაციო ხარჯები კლასიფიცირებით სასმელი წყალი, კანალიზაციის გაწმენდა/დამუშავება, ჩამდინარე წყლები, ელექტრობა, გათბობა, მყარი ნარჩენები, და ნებისმიერი სხვა საჭირო მომსახურეობები; ინსტიტუციური ორგანიზაციების განსაზღვრა და მოწყობა თითოეული მომსახურეობისათვის;
- საოპერაციო სტრატეგია. ორგანიზაციის განსაზღვრა რომელიც ამუშავებს მოწყობილობას და დაფარავს OPEX ხარჯებს. არსებული სამომხამერბლო ტარიფის შეფასება თუ რამდენად ეფექტურია წლიური OPEX -ის დასაფარად-ან ჩავარდნის ტაბულირება. შეთავაზებული მოწყობილობის ოპერირება მოვლაშენახვისათვის საჭირო ტექნიკური უნარების და დროის ინვესტირების დადგენა და ოპერატორის პერსონალთან შედარება ტრენინგის/დაქირავების საჭიროების დასადგენად. კონტრაქტორის მიერ ტრეინინგის პროგრამის შეტანა სატენდერო დოკუმენტაციაში, შესაბამისად;
- ფასის შეთავაზების დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- გარემოსდაცვის მართვის გეგმა (EMP);
- ფოტო მასალა;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3.5 თვე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს („კონსულტანტებს“) ზემოთ ხსენებული მომსახურების განხორციელებაზე ინტერესის გამოსახატავად. დაინტერესებული კონსულტანტები ვალდებულები არიან

წარმოადგინონ მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის და სათანადო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. საბოლოო სიისთვის შესარჩევი კრიტერიუმებია:

- მსგავსი ხასიათის დასრულებული საკონსულტაციო კონტრაქტები ბოლო 7 წლის განმავლობაში (ე.ი. 2008 წლის იანვრიდან).
- კონსულტანტის ზოგადი გამოცდილება.

<u>შენიშვნა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი რეკომენდაციები და შეფასების მიზნებისათვის გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია.</u>

დაინტერესებული კონსულტანტების ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2001 წლის გამოცემა) პარაგრაფზე 1.9. ("სახელმძღვანელო პრინციპები კონსულტანტებისათვის"), სადაც მითითებულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს ქვე-კონსულტანტობის ან ერთობლივის საწარმოს ფორმა და განაცხადში ნათლად უნდა იქნას მითითებული გაერთიანების ტიპი. კონსულტანტის კორპორატიული გამცდილების შეფასებისას გათვალისწინებული არ იქნება ქვე-კონსულტანტების გამოცდილება).

ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება №1 ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი, რომელიც მგფ-ს ვებგვერდზე იქნება ატვირთული შემდეგ ბმულზე: http://mdf.org.ge/wp-content/uploads/2014/02/Form-for-References.pdf

კონსულტანტს რეკომენდაციას ვუწევთ თავის ინტერესის გამოხატვის წერილი 30 გვერდიანი ფორმატით წარმოადგინოს. კომპანიის ბროშურები შესაძლოა წარმოდგენილი იქნას დანართის სახით, და მასზე არ გავრცელდება 30-გვერდიანი ლიმიტი.

კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული (CQS) შერჩევის მეთოდით, კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვრის გამოცემა) III განყოფილებაში მოცემული მეთოდის მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია მგფ-ს შესყიდვების სამსახურში, ტელეფონის ნომერი: +99532 2437001, შიდა ნომერი 409, ქ-ნი თინათინ კაჭკაჭიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.

განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მოწოდებულ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე წერილობით ქვემოთმოყვანილ მისამართზე (პირადად, ელ-ფოსტის, ფაქსის ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით) არაუგვიანეს **2014 წლის 13 აგვისტოს 17:00 საათისა.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ფონდის აღმასრულებელი დირექტორი
ბ-ნი ჯუანშერ ბურჭულაძე
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +99532 2437001 ან 02/03/04
ფაქსი: (+995-32) 2437077
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge